ოთხი მიზეზი, რის გამოც შეგიძლია გაიღიმო

Smile 1 — ღმერთს ნამდვილად უყვარხარ

“ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.” (იოანეს 3:16)

არ აქვს მნიშვნელობა როგორ გრძნობ თავს ან რა გაიარე ცხოვრებაში – ღვთის სიყვარული შენს მიმართ უცვლელია. მან შენთვის ერთადერთი ძე გაწირა.

Smile 2 — იესომ შენთვის სიცოცხლე გაწირა

ნამდვილი სიყვარულის მაგალითია, როდესაც ადამიანი მზადაა საკუთარი სიცოცხლე გაიღოს მეგობრისათვის. ამაზე დიდი სიყვარული არ არსებობს. ისტორია ადასტურებს, რომ იესო ცხოვრობდა და ის ჯვარზე მოკვდა. ბიბლია ამბობს, რომ მან ეს შენთვის და ჩემთვის გააკეთა.

“ვინაიდან ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას.” (რომაელთა 3:23)

“ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღვთის საჩუქარი - მარადიული სიცოცხლე ჩვენს უფალში, ქრისტე იესოში.” (რომაელთა 6:23)

“ღმერთი კი იმით გვიჩვენებს თავის სიყვარულს ჩვენდამი, რომ ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით, როცა ქრისტე მოკვდა ჩვენთვის.” (რომაელთა 5:8)

“რომელიც მიეცა ჩვენი ცოდვებისთვის და აღდგა ჩვენდა გამართლებად.” (რომაელთა 4:25)

Smile 3 — ღმერთს აქვს გეგმა შენი ცხოვრებისათვის

“ვინაიდან მე ვიცი ზრახვანი, რაც თქვენზე განვიზრახე, ამბობს უფალი, სასიკეთო და არა საბოროტო ზრახვანი, რომ მომავალი და იმედი მოგცეთ.” (იერემიას 29:11)

ყველა დიდებული ქმნილების უკან დგას შემოქმედი. ყოველი შედევრი გარკვეული მიზნისათვის არის შექმნილი. შენ განსაკუთრებული ხარ ღვთისათვის და მას ნამდვილად აქვს გეგმა შენს ცხოვრებაზე. ღვთის პირველი მიზანი არის ის, რომ იცოდე შენდამი მისი სიყვარულის შესახებ. თუ მიენდობი მას, ყველაფერი დალაგდება.

Smile 4 — დღეს შენი დღეა

“აჰა, ახლაა ხსნის დღე.” (2 კორინთელთა 6:2)

“მაგრამ ღმერთმა აღადგინა იგი მესამე დღეს და მისცა მას, რომ გამოცხადებოდა” (საქმეების 10:40)

“იმიტომ, რომ თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იგი, გადარჩები.” (რომაელთა 10:9)

შენი სუნთქვაც კი ღვთის საჩუქარია. მან თავის ხატად შეგქმნა და ძალიან უყვარხარ. გახსოვდეს, რომ ხვალინდელი დღე გარანტირებული არ გაქვს, მაგრამ დღეს გაქვს შესაძლებლობა, რომ ცოდვები მოინანიო და იესო ქრისტეს მეშვეობით მიიღო ღვთის უსასყიდლო საჩუქარი, მისი სიყვარული. ჯვარი არ იყო სისუსტის გამოხატულება ან რელიგიური სიმბოლო, არამედ ღვთის ძალა, რომელიც გვწმენდს ცოდვისაგან და გვაძლევს ღვთის მშვიდობას. ნუ მოკვდები ქრისტეს გარეშე.

ნუ გადადებ, ილოცე ახლავე!

ილოცე ჩემთან ერთად

ზეციერო მამა, იესოს სახელით, მომიტევე ჩემი ცოდვები. მწამს, რომ იესო შენი ძეა, რომ ის ჩემთვის მოკვდა და მკვდრეთით აღადგინე ჩემი სიყვარულის გამო.

უფალო იესო, შემოდი ჩემს გულში და იყავი ჩემი ცხოვრების გამგებელი. მინდა მჯეროდეს, რომ დახსნილი ვარ და სულიწმიდა ავსებდეს ჩემს გულს. ვლოცულობ იესოს სახელით, ამინ!

ახლა მე ვილოცებ შენთვის

ღმერთო, იესოს სახელით ვაცხადეთ შენს ცხებულებას ამ ადამიანზე, დაიცავი ის. დაე, დაიმსხვრეს დაბნეულობისა და ურწმუნოების ყოველი ბორკილი.

მოვუხმობ შენს ანგელოზებს, რომ დაიცვან და დაეხმარონ ამ პიროვნებას, რომელიც ასე შეიყვარე. მამაო, დაე განუწყვეტლივ ვლინდებოდეს შენი ჭეშმარიტება და სიყვარული მის ცხოვრებაში. განკურნე მისი სხეული და გაათავისუფლე მისი გონება.

იესოს სახელით, ამინ.

www.foursmiles.com

©2019 FourSmiles Productions. Used by permission.